



## საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000033660797619

0900 ქ. ახმეტა ჩოლოფაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 15

03 / აპრილი / 2019 წ.

### განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, 6-ერთეული 25კვ.მ ფართის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით საპრივატიზებო ნუსხისა და საწყისი საპრივატიზებო ღირებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.გ. და ე.დ. ქვეპუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსნორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების მე- 5 მუხლის პირველი პუნქტის და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ელექტრონული აუქციონის წესით საპრივატიზებო ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ექვსი ერთეული 25კვ.მ ფართის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შემდეგი სახით:

ა) სოფელ მატანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 კვმ მიწის ფართი საკადასტრო კოდი N 50.11.45.123

ბ) სოფელ მატანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 კვმ მიწის ფართი საკადასტრო კოდი N 50.11.45.116

გ) სოფელ მატანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 კვმ მიწის ფართი საკადასტრო კოდი N 50.11.45.118

დ) სოფელ მატანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 კვმ მიწის ფართი საკადასტრო კოდი N 50.11.43.165

ე) სოფელ საკობიანოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 კვმ მიწის ფართი საკადასტრო კოდი N 50.06.35.133

ვ) სოფელ საკობიანოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 კვმ მიწის ფართი საკადასტრო კოდი N 50.06.35.134



ვ) სოფელ საკობიანოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 კვმ მიწის ფართი საკადასტრო კოდი N 50.06.35.134

- საწყისი საპრივატიზებო საფასური-450 (ოთხას ორმოცდაათი)ლარის ოდენობით.
  - აუქციონის ბიჭის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -45 ლარის ოდენობით.
  - „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტის) თანხა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით - 135 ლარის ოდენობით.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ექვსი ერთეული 25კვ.მ ფართის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის „შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 ნოემბრის N40 განკარგულება.
4. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შთამპდასმულია  
ელექტრონულად



თამარ ყეინიშვილი